საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/137 “ 20 ” დეკემბერი 202 2 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე რ. კახიძის ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს 2021 წლის 13 ოქტომბრის №1/172 განკარგულებით ამბროლაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გურამ გოცირიძე, რომელიც აღნიშნულ სასამართლოში უფლებამოსილების განმახორციელებელი ერთადერთი მოსამართლე იყო, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის დანიშვნამდე მიზანშეწონილად ჩაითვალა უფლებამოსილების განსახორციელებლად მოსამართლის მივლინება და 2021 წლის 17 დეკემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე როინ კახიძე მივლინებულ იქნა მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად 1 წლის ვადით.

ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში არსებული მდგომარეობა არ შეცვლილა, შესაბამისად კვლავ დგას მოსამართლის მივლინების საჭიროება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინადადებით მიემართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე როინ კახიძეს, რომელიც მიმდინარე წლის 23 დეკემბრამდე ახორციელებს უფლებამოსილებას ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში და კვლავ შეეთავაზა 1 წლის ვადით მივლინება. აღნიშნულთან დაკავშირებით, მიღებულ იქნა მოსამართლე რ. კახიძის თანხმობა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე როინ კახიძე მივლინებულ იქნეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად 2022 წლის 23 დეკემბრიდან 2023 წლის 24 დეკემბრამდე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი